ეროვნული ბიბლიოთეკა

ლეჩხუმი

ცაგერის მუნიციპალიტეტის საკრებულოსა და მერიის საინფორმაციო გამოცემა №7 (53) ივლისი, 2022 წელი

საკრებულოში

ცაგერის მუნიციპალიტეტის საკრებულოში მორიგი სხდომა გაიმართა (6.07.2022 წ.). სხდომა გახსნა და დღის წესრიგი გააცნო დეპუტატებს ცაგერის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარემ **ჭაბუკი ჭაბუკიანმა.**

სხდომას ესწრებოდა ცაგერის მუნიციპალიტეტის მერი **გიორგი ნემსაძე**, ასევე მერიის თანამდებობის პირები.

მიღებული იქნა **განკარგულებები:**

საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან ცაგერის მუნიციპალიტეტში 2022 წელს

დაგეგმილი ინფრასტრუქტურული პროექტების მოწონების შესახებ (მომხსენებელი **სოფო გვიშიანი**).

ცაგერის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული მოძრავი ქონების, ასინიზაციის ავტომანქანა DAF-ის (ყვითელი ფერი, სახელმწიფო სარეგისტრაციო ნომერი EDE 012, საბალანსო ღირებულება 9500 ლარი) პირდაპირი განკარგვის წესით, სარგებლობის უფლებით (უსასყიდლო უზუფრუქტი) შ.პ.ს. „მანქანა-ტრაქტორთა პარკის"-თვის (დირექტორი დ. ქარსელაძე) გადაცემაზე მერისთვის თანხმობის მიცემის თაობაზე (მომხსენებელი **ბონდო კოპალიანი**).

ცაგერის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული მოძრავი ქონების ექსკავატორი CUKPOVA-ს (ყვითელი ფერი, სახელმწიფო სარეგისტრაციო ნომერი LV242V, საბალანსო ღირებულება 62034.20 აშშ დოლარი) პირდაპირი განკარგვის წესით, სარგებლობის უფლებით (უსასყიდლო უზუფრუქტი) შ.პ.ს. „მანქანა-ტრაქტორთა პარკის"-თვის (დირექტორი დ. ქარსელაძე) გადაცემაზე მერისთვის თანხმობის მიცემის თაობაზე (მომხსენებელი **ბონდო კოპალიანი**).

ცაგერის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული მოძრავი ქონების, ბულდოზერი კატეპილარი D8R-ის (ყვითელი ფერი, სახელმწიფო სარეგისტრაციო ნომერი EB-230, საბალანსო ღირებულება 720 000 ლარი) პირდაპირი განკარგვის წესით (უსასყიდლო უზუფრუქტი) სარგებლობის უფლებით შ.პ.ს. „მანქანა-ტრაქტორთა პარკის"-თვის (დირექტორი დ. ქარსელაძე) გადაცემაზე მერისთვის თანხმობის მიცემის თაობაზე (მომხსენებელი **ბონდო კოპალიანი**).

ცაგერის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების „ცაგერის მთავარი ბიბლიოთეკის სოფ. ჭალისთავის განყოფილების წიგნადი ფონდის" ქვედა ცაგერის საჯარო სკოლისათვის სარგებლობის უფლებით გადაცემის შესახებ" ცაგერის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2008 წლის 26 დეკემბრის №306 განკარგულების ძალადაკარგულად გამოცხადების თაობაზე (მომხსენებელი **ბონდო კოპალიანი**).

ცაგერის მუნიციპალიტეტში მეორე კვარტლის მონაცემებით მიმდინარე ინფრასტრუქტურული პროექტების შესახებ (მომხსენებელი **მამუკა ხაბულიანი**).

„ცაგერის მუნიციპალიტეტის საკრებულოს კომისიების შემადგენლობის ცნობად მიღების შესახებ" ცაგერის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 3 დეკემბრის №83 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე (მომხსენებელი **თამაზ ჭაბუკიანი**).

ამით საკრებულოს სხდომამ მუშაობა დაასრულა.

მეწარმე ქალთა ფორუმზე

ბიზნეს ფედერაციის „ქალები მომავლისთვის" ორგანიზებით, ამბროლაურში მეწარმე ქალთა ფორუმი გაიმართა, რომელსაც რაჭა-ლეჩხუმ ქვემო სვანეთის მხარის ქალი მეწარმეები ესწრებოდნენ.

ფორუმის მონაწილეებს ბიზნეს ფედერაცია „ქალები მომავლისთვის" სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარემ **ნინო კობახიძემ** და რაჭა-ლეჩხუმ სვანეთის მაჟორიტარი დეპუტატის ბიუროს ხელმძღვანელმა **ქრისტინა კობახიძემ**, სხვადასხვა სააგენტოსა და საბანკო სექტორის წარმომადგენლებთან ერთად, ბიზნეს ინვესტიციების განხორციელებისთვის საჭირო მიმართულებები გააცნეს და დეტალურად ისაუბრეს იმ საგრანტო პროგრამებზე, რომლებიც ბენეფიციარებს სამეწარმეო საქმიანობის განვითარებაში დაეხმარება.

ღონისძიება დაეთმო პოსტ პანდემიური კრიზისების მართვას და მოიცავდა პანელურ დისკუსიას ისეთ თემებზე, როგორიცაა ბიზნეს ინვესტიციები და ხელშეწყობა, ადამიანური რესურსები და პროფესიული განვითარება, ვორქშოპებს – გაციფრულების დაჩქარების, სამეწარმეო და შრომითი კანონმდებლობის ცვლილებებსა და მნიშვნელოვან ასპექტებზე, ასევე ინდივიდუალურ კონსულტაციებს მეწარმე ქალებისთვის.

ღონისძიებაზე ერთ-ერთი პანელი დაეთმო ფინანსებზე ხელმისაწვდომობის სხვადასხვა პროგრამებს, როგორიცაა სოფლის განვითარების სააგენტოს, ინოვაციების და ტექნოლოგიების სააგენტოს, ქეა საქართველოსა და სტრატეგიული განვითარებისა და კვლევების ცენტრის პროგრამებს, ასევე თიბისი ბანკისა და საქართველოს ბანკის მიმდინარე საბანკო პროდუქტებს, რომლებიც მეწარმეობის განვითარების მიმართულებით მოქმედებს.

ეროვნული გამოცდები დაიწყო

დადგა ის დრო, როდესაც ჩვენმა ძვირფასმა ახალგაზრდებმა თავიანთი ცოდნის ღირსეული შეფასება უნდა დაიმსახურონ და ცხოვრების ახალი ეტაპი დაიწყონ – სტუდენტობის წლები.

ლეჩხუმელი პედაგოგები ყოველთვის საუკეთესოდ მომზადებულ ახალგაზრდებს გზავნიან ეროვნულ გამოცდებზე.

ჩემო ახალგაზრდებო, საქართველოს უმაღლესი სასწავლებლები, სადაც სწავლას განაგრძობთ, თქვენს ცოდნას გაალრმავებენ და საუკეთესო პროფესიონალებად ჩამოყალიბდებით, თქვენი იმედი აქვს ჩვენს ულამაზეს კუთხეს და სამშობლოს.

წარმატებებს გისურვებთ! დიდი სიხარულით დაგეგვირგვინებინოთ თქვენი შრომა, განათლების მისაღებად დაუშურველი!

პატივისცემით, გიორგი ნემსაძე,
ცაგერის მუნიციპალიტეტის მერი

განახლებული რეგიონები

რაჭა- ლეჩხუმ-ქვემო სვანეთის სახელმწიფო რწმუნებული **პაპუნა მარგველიძე,** ცაგერის მუნიციპალიტეტის მერთან – **გიორგი ნემსაძესთან** და საკრებულოს თავმჯდომარესთან – **ჭაბუკი ჭაბუკიანთან** ერთად მერიის სტრუქტურული ერთეულების ხელმძღვანელებს შეხვდა.

შეხვედრაზე განიხილეს მუნიციპალიტეტის მასშტაბით მიმდინარე ინფრასტრუქტურული პროექტები, მათ შორის, ქალაქ ცაგერში პრემიერ-მინისტრის ინიციატივით მიმდინარე პროექტი „განახლებული რეგიონები“, რომელიც კოსტავას და რუსთაველის ქუჩებზე ფასადების განახლებას და ლადო ასათიანის სახელობის სკვერის რეაბილიტაციას ითვალისწინებს.

ისაუბრეს აგრეთვე იმ პროექტებზე, რომელთა განხორციელებაც შესაძლებელი იქნება ახლო მომავალში.

სახელმწიფო რწმუნებულმა ანგარიში მოისმინა სამსახურების ხელმძღვანელებიდან და დეტალურად გაეცნო სხვადასხვა სფეროში არსებულ მდგომარეობას და გამოწვევებს.

სამუშაო შეხვედრას ესწრებოდნენ სამხარეო ადმინისტრაციის წარმომადგენლები და ცაგერის მუნიციპალიტეტის მერის მოადგილეები.

პროექტი - მწვანე ეკონომიკა

ცაგერის მუნიციპალიტეტის მერის პირველმა მოადგილემ **ალუდა თუთისანმა**, პროექტ GRETA-ს ხელმძღვანელს – **რიკარდო მონტანარს** და მდგრადი სამთო ტურიზმის განვითარების მიმართულებით პროექტის მენეჯერს – **ირაკლი კუციას** უმასპინძლა.



პროექტი GRETA „მწვანე ეკონომიკა: მდგრადი სამთო ტურიზმი და ორგანული სოფლის მეურნეობა“-ს ევროკავშირის, ავსტრიისა და შვედეთის მხარდაჭერით, საქართველოში ავსტრიის განვითარების სააგენტო ახორციელებს.

პროექტი მიზნად ისახავს ბიზნეს-გარემოს გაუმჯობესების ხელშეწყობას და დამატებითი შემოსავლის შექმნის შესაძლებლობის გაზრდას ეკონომიკის ორ ისეთ მნიშვნელოვან სექტორში, როგორებიცაა სამთო ტურიზმი და ორგანული სოფლის მეურნეობა.

პროექტი მოიცავს მესტიის, ლენტეხის, ცაგერის, ონის, ამბროლაურის, საჩხერის, ჭიათურისა და ტყიბულის მუნიციპალიტეტებს.

სტუმრებმა დაათვალიერეს ცაგერის ტურიზმის ცენტრი და მის ხელმძღვანელთან, ნიკა ჩაკვეტაძესთან ერთად ისაუბრეს შემდგომ თანამშრომლობაზე ტურიზმის ხელშეწყობის კუთხით.

შეხვედრა ვეტერანების საქმეთა სახელმწიფო სამსახურის ხელმძღვანელებთან

ვეტერანების საქმეთა სახელმწიფო სამსახურის დირექტორი, გენერალ-მაიორი **კობა კობალაძე**, რეგიონებში ვიზიტის ფარგლებში, ცაგერის მუნიციპალიტეტის მერის მოადგილეს, **რევაზ ახვლედიანს** და ადგილობრივ ვეტერანებს შეხვდა. შეხვედრაზე, კობა კობალაძემ, იმ გეგმებზე ისაუბრა, რომლებიც რეგიონში მცხოვრები ომისა და თავდაცვის ძალების ვეტერანების სოციალური და ეკონომიკური მდგომარეობის გასაუმჯობესებლად პრიორიტეტული პროგრამების შემუშავებას ეხება.

ვეტერანებმა, მათთვის ყველა მნიშვნელოვან კითხვაზე მიიღეს პასუხი. განსაკუთრებით გაესვა ხაზი რეგიონში მცხოვრები ვეტერანების სოფლის მეურნეობის პროგრამებში ჩართვის შესაძლებლობებს და პერსპექტივებს.

შეხვედრას, ასევე, ესწრებოდნენ ვეტერანების საქმეთა სახელმწიფო სამსახურის რეგიონული მართვის დეპარტამენტის უფროსი, **ლევან ამირიძე**, რაჭა-ლეჩხუმისა და ქვემო სვანეთის სამმართველოს უფროსი, **ბესიკ ბაქრაძე**, ცაგერში სამსახურის წარმომადგენელი, **მირიან მურცხვალაძე**, საკრებულოს „უმრავლესობის“ ლიდერი **ონისე ჩაკვეტაძე** და ადგილობრივი თვითმმართველობის წევრები.

მოგვიანებით, კობა კობალაძე, „ომისა და თავდაცვის ძალების გურიის ვეტერან ფერმერთა ასოციაციის“ პრეზიდენტი, **გიორგი არველაძე**, სამსახურისა და ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლები, ცაგერში, თხის რძის გადამამუშავებელ საწარმოს, „გვესოს ფერმას“ ესტუმრნენ; მათ დაათვალიერეს ფერმა და გამოცდილების გაზიარების მიზნით,

მის დამფუძნებლებს – **გიორგი გასვიანსა** და მის მეუღლეს, ნატო ბენდელიანს გაესაუბრნენ, რომელებიც, თავის მხრივ, გურიის ვეტერან ფერმერთა ასოციაციასთან თანამშრომლობენ. მასპინძლებმა, საკუთარი გამოცდილებისა და ცოდნის ვეტერანი ფერმერებისთვის გაზიარების სურვილი და მზადყოფნა გამოთქვეს.

დღეისათვის, „ომისა და თავდაცვის ძალების გურიის ვეტერან ფერმერთა ასოციაცია“ 155 ვეტერანსა და ორ კოოპერატივს აერთიანებს. ვეტერანების საქმეთა სახელმწიფო სამსახური განაგრძობს ომისა და თავდაცვის ძალების ვეტერანთა სხვადასხვა აგრარულ და სოფლის მეურნეობის პროგრამებში ჩართვის ხელშეწყობას.

30 ივლისი ქვეყანაში გლოვის დღედ გამოცხადდა!

ცაგერის მუნიციპალიტეტის მერია და საკრებულო ღრმა მწუხარებას გამოთქვამს გუდაურში შინაგან საქმეთა სამინისტროს სასაზღვრო პოლიციის ვერტმფრენის ჩამოვარდნის შედეგად ეკიპაჟის წევრების, მაშველებისა და ექიმების დაღუპვის გამო.

სამძიმარს ვუცხადებთ დაღუპულთა ოჯახის წევრებს, ახლობლებს, შინაგან საქმეთა სამინისტროს ხელმძღვანელობას და სრულიად საქართველოს.



გაეროს განვითარების პროგრამის ფარგლებში



ცაგერის საჯარო სკოლაში გაეროს განვითარების პროგრამის „მთელი სიცოცხლის განმავლობაში სწავლის შესაძლებლობის გაუმჯობესება ადგილობრივი პარტნიორობის „გამოყენებით“ პრეზენტაცია გაიმართა.

აღნიშნული საგანმანათლებლო პროექტის

პრეზენტაციას უძღვებოდა პროფესიული განათლების შრომის ბაზრის უფროსი, ეროვნული კონსულტანტი **რევაზ საყვარელიძე**.

პროექტი ფინანსდება ევროკავშირის და გაეროს განვითარების პროგრამის მიერ, განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ჩართულობით.

განხილვის თემა გახლდათ პროგრესი პროექტში და მოთხოვნადი პროფესიები.

შეხვედრაზე იმსჯელეს აღნიშნულ პროგრამაში ცაგერის მუნიციპალიტეტის სამომავლო ჩართულობის ფორმასა და შესაძლებლობებზე განათლების კუთხით. მუნიციპალიტეტი აირჩევს პროფესიული განათლების რამდენიმე მიმართულებას, რაზეც იქნება შემდგომი ორიენტაცია.

შეხვედრას ესწრებოდნენ ცაგერის მუნიციპალიტეტის მერის მოადგილე რევაზ ახვლედიანი, საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე **მარიკა კოპალიანი**, საგანმანათლებლო რესურს-ცენტრის უფროსი **ირაკლი სილაგაძე**.

მიმდინარეობს ნაპირსამაგრი სამუშაოები

ცაგერის მუნიციპალიტეტის სოფელ ჩხუტელში (ჭალებთან და სტადიონთან), მდინარე ცხენისწყალზე, ნაპირსამაგრის სამუშაოები მიმდინარეობს.

ეწყობა ნაპირსამაგრი ნაგებობა ქვის მყარი ჩალაგებით.

სამუშაოების მიმდინარეობის პროცესი ადგილზე მოინახულეს ცაგერის მუნიციპალიტეტის მერმა **გიორგი ნემსაძემ** და მერის მოადგილემ **რევაზ ახვლედიანმა**.

პროექტს ახორციელებს შპს „Georgian Build“

სახელშეკრულებო თანხა არის 885529 ლარი.

12 ივლისს მართლმადიდებლური სამყარო პეტრე-პავლობას აღნიშნავს!

გილოცავთ პეტრე-პავლობის დღესასწაულს, წმინდა მოციქულთა სახელების დღეს!

უხვი ნალექის შედეგად

სტიქიის სალიკვიდაციო სამუშაოები, მუნიციპალიტეტის სამ სოფელში – ზუბში, მახურასა და ისუნდერში ჩატარდა.

რაჭა-ლეჩხუმ-ქვემო სვანეთის სახელმწიფო რწმუნებულის პირველმა მოადგილემ – **გიორგი მაქარაშვილმა** მიმდინარე სამუშაოები ცაგერის მუნიციპალიტეტის მერთან – **გიორგი ნემსაძესთან**, მერის მოადგილეებთან, **ალუდა თუთისანთან** და **რევაზ ახვლედიანთან** ერთად მოინახულა და ვითარებას ადგილზე გაეცნო.

შეკეთდა და გაიწმინდა წვა-ღორღისგან გზები, გაიჭრა და გასუფთავდა არხები.

სტიქიის სალიკვიდაციო სამუშაოების პარალელურად, აქტიურად მიმდინარეობს დროებითი სამუშაო ჯგუფის მიერ მიყენებული ზარალის დათვლა.

2 ივლისს უხვი ნალექის შედეგად ადიდდა მთის მდინარეები, გადმოვიდა კალაპოტიდან, რის გამოც დაზიანდა საავტომობილო გზა, დაიტბორა სასოფლო-სამეურნეო სავარგულები, ეზოები და დამხმარე ნაგებობები.

უკეთესი რეალიზებისთვის

ცაგერის მუნიციპალიტეტის მერიაში, მუნიციპალიტეტში მცხოვრები „შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა საკითხებზე მომუშავე საბჭოს“ მორიგი სხდომა გაიმართა, რომლის თავმჯდომარეა მერის მოადგილე **რევაზ ახვლედიანი**.

სხდომაზე განიხილეს ცაგერის მუნიციპალიტეტის შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა საკითხებზე მომუშავე საბჭოს დღის წესრიგით გათვალისწინებული შემდეგი საკითხები:

შ.შ.მ. პირთა პროფესიული გადამზადების პროგრამის შესახებ (მომხსენებელი **ჯონი ხალიანი**).

შ.შ.მ. პირების დასაქმების წინადადებების შემუშავება და რეკომენდაციების გაწევა დაწესებულებებისათვის (მომხსენებელი **დავით ჩაკვეტაძე**).

მიმდინარე წელს იგეგმება სხვადასხვა ღონისძიება მუნიციპალიტეტში მცხოვრები შ.შ.მ. პირების შესაძლებლობების უკეთესი რეალიზებისათვის.



მინიატურა

ვენახში

ივლისია, ვენახში წამლობა, მწვანე ოპერაციები, „ცის გახსნა“ დასრულდა. ახლა მტევანი თვალსა და ხელსშუა მსხვილდება, მალე ფერსაც შეიცვლის. გულგახარებული მევენახე სიყვარულით შესცქერის მზის გულზე შეფენილ ლურჯად მობიბინე ზვარს, ნაზად რომ შრიალებს დილის ნიავზე.

– მოსავლის ბედი თითქმის გადაწყვეტილია, თუ ბუნებამ გაამართლა, წელს ბარაქიან რთველს უნდა ველოდოთო, – თავისთვის ჩურჩულებს... და დილის ცვარით დანამულ მტევნებს სათუთად ეფერება. „ზვარო მტევნებგიშრიანო, გლეხი კაცის სანუკვარო“ – ანაზდად პოეტის სიტყვებიც დაედევნა...

მერე ხვამლის მთაზე გადასულ თეთრ ნისლს გახედა, პირჯვარი გადაისახა და კმაყოფილი გაუდგა ბილიკს სახლისკენ.

მ. გურული

მოვუაროთ მთას

ეროვნული ბიბლიოთეკა

რა ლამაზია თუშეთი-კავკასიონის კალთებთან ჩაქარგული – აქედან ხელისგულივით იშლება ხელთუქმნელი ბუნება, შეიძლება ხმამაღლა შესძახო: სწორედ აქ ფეთქავს სამყაროს გული!

ევროპაში ერთ-ერთი ყველაზე მაღალი სოფელი ომალო. საქართველოს მთავრობის ინიციატივით აქ მთის კვირეული გაიმართა. ადგილობრივებს, სტუმრებს საქართველოს სხვადასხვა რეგიონიდან, ცნობად სახეებს, ტურისტებს... ვის არ ნახავდით აქ. ფესტივალის მიზანი გახლდათ ძირძველი ტრადიციების არდავიწყება: თუშური სამზარეულო, ფოლკლორი და სიმღერა, რეწვა, ქსოვა, ქარგვა ქართული ორნამენტებით, ძველისა და თანამედროვის შერწყმა, დოლი.

ფესტივალს ეწვია საქართველოს პრემიერ-მინისტრი ირაკლი ღარიბაშვილი. მოვუაროთ მთას! – ასეთი იყო მთავრობის მეთაურის მესიჯი სრულიად საქართველოსთვის.

გულით უთხარით ადამიანებს, ვინ ხინკლის მოხვევას სწავლობს, ვინ სხვა რამეს. „ხინკლის ისტორია მარტო მოხვევა არ არის, ეს ჩვენი ხელოვნებაა, ჩვენი კულტურაა,“ „ვინაც კარგი ვართ ცხვარში ვართ, ნაბადში გვძინავს...“ ისმენ ამ საოცარ ფრაზებს და გული სიამაყით გევსება.

***

მთის ფესტივალს დაბა მესტიამაც უმასპინძლა. მისტიკური მთების ფონზე შესრულდა ძველი სვანური საგალობლები, ფოლკლორის ნიმუშები. გაიმართა მზარეულის მასტერ-კლასები.

ზეიმის დამაგვირგვინებელი იყო კოცონი და გალა-კონცერტი.

***

ულამაზესი რაჭის მთიანეთშიც, მარადმწვანე კურორტ შოვში ასობით ადამიანი შეიკრიბა. მთის ფესტივალმა გააცოცხლა რაჭის ისტორია, წარსული, ადათ-წესები და დღევანდელობა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

14 ივლისს დაიბადა ნოდარ დუმბაძე

მწერალი, რუსთაველის პრემიის ლაურეატი



ქვეყნის სიყვარულს საყველპუროდ და საარშიყოდ ნუ გაიხდით. სამშობლო როსკიპი ქალი არაა, მთვრალს რომ მოგენატრება და მაშინ გაიხსენებ, სამშობლო ტაძარია სალოცავი. მუხლზე დაჩოქილი უნდა იდგე მის საკურთხეველთან, ცალი ხელით პირჯვარს უნდა იწერდე, მეორეთი კი ხმალს იქნევდე, ეშმაკები რომ არ დაეპატრონონ. და კიდევ ერთი, შესაწირავის მიტანა ვერავინ ვერ უნდა მოგასწროს ამ ტაძართან.

***

ნოდარი უკვე სტუდენტი იყო, როცა დედამისი გადასახლებიდან დაბრუნდა, დედამ ვერ იცნო შვილი. მერე ამბობდა ქალბატონი ანიკო თურმე: მეგონა, ჩემი შვილი მოკვდა, არ გამიმხილეს და ახლა მის ტოლ ბიჭს მაჩვენებენ მის მაგივრადო, ისეთი შეცვლილი ყოფილა. ქერათმიანი, პატარა ბიჭი დავტოვე გადასახლებაში რომ გამიშვეს და დამხვდა შავგვრემანი, ხუჭუჭთმიანი, წვერულვაშიანი კაციო... მერე იყო გაუცხოების, შეჩვევის მძიმე პერიოდი... შემდეგ კი საოცრად უყვარდა დედა... უაღრესად განათლებული ქალბატონი. შვილებთან კონტაქტს გადასახლებიდან გამოგზავნილი წერილებით ახერხებდა მხოლოდ. ამ წერილებზე გაზარდა შვილები, – ამბობდა ქალბატონი ნანული, მწერლის საყვარელი მეუღლე და ერთგული მეგობარი...

***

„გათავდეს ეს მეორე წელიც და..."

ჩემო საყვარელო დედა! წერილი და ამანათი მივიღე შენგან. წერილზე ლაქებია, გიტირია, რა მჭირს სატირალი? ომში ხომ არ ვარ?! გათავდეს ეს მეორე წელიც და ჩამოვალ. რომ იცოდე, რა კარგად ვარ, აკი გწერდი. აქ ყველაფერი ერთადაა – ზღვაც, მთაც, ბარიც; ზამთარიც, ზაფხულიც, გაზაფხულიც და შემოდგომაც. მეგობრები კარგი მყავს და მეთაურიც, შენი შვილი პეტრო შერბინა ყველას უყვარს, წარჩინებული მესაზღვრე ვარ. ჯერ ჯაშუში არ დამიჭერია. აქ ისეთი მეგობრები მყავს, სულ მზესა და მთვარეს ჩემზე იფიცებენ. ერთი ქართველია, ჯაყელი, მეორე ჩვენებური პარხომენკო.

დედა! ქართველები ჭკვიანი ხალხია, ალერსიანი, სიმღერა უყვართ. დედის გინებისთვის შეიძლება კაცი მოკლან. ამხანაგი უყვართ, მისი გულისათვის სახლს გაყიდიან, ოღონდ შენც სამაგიერო სიყვარულს გთხოვენ, ეს ჯაყელიც ასეთია – მზე უყვარს, დედა არ ჰყავს, შენი სურათი რომ ვაჩვენე, ასე მითხრა, სულ დედაჩემს ჰგავსო. დედას იფიცებს ხოლმე. ქართველები თუ დედას იფიცებენ, ხატზე დაფიცებას უდრის, კიდევ მეტს. თავისი ქვეყანა სიგიჟემდე უყვართ, საქართველოს სადღეგრძელოს რომ ამბობენ, ხანდახან ტირიან კიდევაც. სამოთხესავით ქვეყანაა, დედი, საქართველო, სამოთხესავით. მაგრამ... ერთი ჩემს ტრამალზე მარბენინა ახლა, ერთი ჩემს პურის ყანაში მაგორავა. რომ იცოდე როგორ მენატრები! წინ ამანათი მიდევს, პურს ჩვენი ბელლის სუნი აქვს, არაყანს ჩვენი ძროხის სუნი, მურაბას – ჩვენი ალუბლის ბაღის სუნი, ხახვს – ჩვენი ბოსტნის სუნი, ძეხვს – ჩვენი სხვენის სუნი და თვითონ ამანათს ჩვენი სახლის სუნი აქვს.

ორი თვეღა დარჩა, ჩემო თბილო და ჩემო ტკბილო დედი. ჩამოვალ და ჩავაბარებ ინსტიტუტში. მომიკითხე მეზობლები.

გკოცნი შენი შვილი პეტრო შერბინა."

***

უკრაინელმა პეტრომ ეს წერილი 28 სექტემბერს დაწერა. 29 სექტემბერს, ღამით კი საზღვრის დაცვის ოპერაციის დროს დაიღუპა. შერბინას სიცოცხლე უყვარდა და ისე მოკვდა არ დაუკვნესია.

ფრაგმენტი ნოდარ დუმბაძის რომანიდან „ნუ გეშინია, დედა!"

ქრისტე ამბობს

„მე ვარ ძე კაცისაი"

„მე ვარ პური ცხოვრებისაი"

„მე ვარ ნათელი სოფლისაი"

„მე ვარ კარი ცხოვართაი"

„მე ვარ მწყემსი კეთილი"

„მე ვარ აღდგომაი და ხცოვრებაი"

„მე ვარ მოძღუარი და უფალი"

„მე ვარ გზაი და ჭეშმარიტებაი და ცხოვრებაი"

„მე ვარ ვენახი ჭეშმარიტი"

„მე ვარ იესუ ნაზარეველი"

„მე ვარ ანი და ჰოი, მე ვარ დასაბამი და დასასრული"

„და არავინაი არს სხვით ცხოვრებაი და არცაღა არს სახელი სხვაი ცასა ქვეშე მოცემული კაცთა, რომლითამცა ჯერ-იყო ცხოვრებაი ჩვენდა."

მადლობა თქვენ!

ამ რაღაცნაირად გაციებულ, ჩაკეტილ სამყაროში მადლიერება უპირველესია ადამიანისთვის.

წერილს ვწერ ბებია, რომელმაც შვილიშვილი, ერთი წლის და რვა თვის – შოთო პაპიაშვილი მივიყვანე ცაგერის მეორე საბავშვო-ბაღში. ჩემი პატარა დედასავით შეიფარეს, არაჩვეულებრივმა, თბილმა პედაგოგებმა: **მეგი მურცხვალაძემ, ვიოლეტა მურცხვალაძემ,** ძიძამ **მანანა ჩიკვაიძემ**, განსაკუთრებულ მზრუნველობასთან ერთად აღსაზრდელს სიყვარულს არ აკლებდა საბავშვო-ბაღის დირექტორი **ლელა კვირიკაშვილი**, მუსიკის მასწავლებელი **მზია ცხადაია**. პედაგოგიური კოლექტივის დადებითი აურა თითქოს ანდამატივით ედება შენობის კედლებსაც და აქ მყოფ ყველა სულიერს.

შოთომ სითბოსთან და სიყვარულთან ერთად ბაღში შეიძინა კარგი უნარ-ჩვევები, რამაც გაუადვილა სკოლასთან შეგუება.

მადლობა თქვენ ღირსეულო, პროფესიაზე შეყვარებულო მასწავლებლებო, ვისურვებდი კვლავ ასეთი სიყვარულით და პროფესიონალიზმით გეკეთებინოთ თქვენი საქმე და გიმრავლოთ ღმერთმა მადლიერი ადამიანები.

მალვინა ბენდელიანი

ვაჟა ფშაველა

(1861-1915)

ჩემის კაცობის გვირგვინო

ჩემის კაცობის გვირგვინო,
ჩემო სამშობლო მხარეო!
შენგან ნაშობი ოცნება
გულს ლახვრად გავიყარეო.
არ მიმეფარო თვალთაგან,
დამიცევ, დამიფარეო.
ბევრი ვაება ვიხილე,
ბევრი დღე ვნახე მწარეო.
მზის სხივებივით ბრწყინავენ,
რაც მე ცრემლები ვღვარეო.
ის მოიგონე მაინცა,
ბეჩავო არემარეო!
ჩემს ცრემლს უბეში ინახავ,
განა, სამშობლოს მთვარეო?!
არ მიღალატო, ოცნებავ,
მნახოდი მალიმალეო.
კი არ მიმუხთლო, შემომწყრე,
იარო გარე-გარეო.
თუ ამას იზამ, წინა დღით
საფლავი გამითხარეო.
მოვკვდე, კაცთ ხელი არ მინდა,
ოცნებავ, დაგიბარეო:
მარტო შენ მნახე, გულზედაც.

ვაზის ყვავილობა

ჩანახატი

სარკმელში ალიონმა შემოანათა თუ არა, უმალ წამოდგა და გარეთ გამოვიდა. ივნისის კრიალა დილა იდგა, საამოდ გრილი, მშვენიერი.

მალევე ვენახს მიაშურა. დილის ცვარი მარგალიტებად დასდებოდა ლურჯად შეფერილ აქოჩრილ ვაზს.

გუშინს აქეთ როგორ შეცვლილხარ, შე ძირდალოცვილო, უკვე ყვავილში შედიხარ... მერე უხვად გამოტანილ უმანკო მტევნებს შეავლო ხელი, მოეფერა და ლოცვასავით ჩაიჩურჩულა: თუ ბუნებამაც შეგვიწყო ხელი, შარშანდელზე უკეთეს მოსავალს მივიღებთო.

სალამომდე ვენახში ტრიალებდა. ყვავილობისას მზე და ჰაერი არ მოაკლდესო ვაზს და გულდაგულ გაფურჩქნა, შეყელა, გამოხშირა, გაალამაზა...

მეორე დილით კი ვაზის ყვავილობით გაიხარა.

მ. გურული

შეგონება

- ცხოვრება ლექსი არ არის, წინასწარ რომ დაიზეპირო.
- დაცემა და წამოდგომა ადამიანის ხვედრია.
- არაფერია დამალული, რომელიც არა გაცხადდეს.
- ყველას სიცოცხლე ერთნაირად არ ფასობს.
- შენ მუშაობა ავტორიტეტზე, ავტორიტეტი მუშაობს შენზე.
- მიუხედავად ყველაფრისა, უთხარი ცხოვრებას – დიახ!

ბორჯღალოსნების მორიგი ტრიუმფალური გამარჯვება

ქალაქ ცაგერში, კეჭნარის სკვერში, დიდ ეკრანზე, რაგბიში საქართველო-იტალიის თამაშის პირდაპირი ტრანსლაცია გაიმართა.

რაგბის ლეჩხუმელი გულშემატკივრებისათვის დადებითი ემოციებით დატვირთული საღამო შედგა. მათ საშუალება ჰქონდათ ეს საუკეთესო სპორტული სანახაობა ერთობლივად ენახათ კარგ გარემოში.

ჩვენებას ესწრებოდნენ ცაგერის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე **ჭაბუკი ჭაბუკიანი**, მერის პირველი მოადგილე **ალუდა თუთისანი**, განათლების, კულტურის და სპორტის სამსახურის უფროსი **გიორგი კვირიკაშვილი**, მუნიციპალიტეტის სხვა წარმომადგენლებთან და ლეჩხუმელ ახალგაზრდებთან ერთად.

საქართველოს ეროვნულმა გუნდმა მნიშვნელოვან მატჩში გამარჯვება მოიპოვა და იტალიის ნაკრები 28-19 დაამარცხა.

ვულოცავთ ქართველ მორაგბეებს და მთელ საქართველოს ამ დიდ გამარჯვებას!

ეკიდხვრილ ქებოქებელა

მამა გიორგი მდივანი

მამა გიორგი მდივანი
ღვთისმოსავი და ჭკვიანი;
გვარწმუნებს მოძღვრება
თქვენი,
რწმენაა ადამიანი.

ქვევრი

რვაათასს ითვლის
რიცხვი წლებისა,
უძველესია ღვინო ქვევრისა.
ღვინის აკვანი საქართველოა –
ვაზის კულტურა ოდით გვეწვია.
მართლაც რა საოცარია,
როგორ შენდება მშვენდება.
ზეშთაგონების მადლია
კაცისგან ქვევრის შენება.
ქვევრის თავმოხდა
ზღაპარს ჰგავს,
თითქოს დევსა ვძლევთ „ხაპითა“
მარანიც გვავსებს განცდებით,
განწყობამ რითმა „გაჩითა.“
რვაათასს ითვლის
რიცხვი წლებისა,
და უწყვეტია ეს ტრადიცია
აოცებთ, მოსწონთ, საამაყოა
ქვევრიდან ღვინის
დეგუსტაცია.

თეიმურაზ საღინაძე

რუსთაველის თეატრი ცაგერში

ლეჩხუმმა რუსთაველის ეროვნულ თეატრს უმასპინძლა.

ცაგერის კულტურის ცენტრის სცენაზე წარმოდგენილი იქნა სპექტაკლი „ძუნწი“.

სცენარის ავტორი და რეჟისორი **გოჩა კაპანაძე**.

თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელი **რობერტ სტურუა**.

მაყურებლით სავსე დარბაზმა უდიდესი სიამოვნება მიიღო. თეატრალური ზეიმის შთაბეჭდილებები კარგა ხანს დარჩება ცაგერში.

ღონისძიება ჩატარდა საქართველოს კულტურის, სპორტის და ახალგაზრდობის სამინისტროს, რაჭა-ლეჩხუმისა და ქვემო სვანეთის სამხარეო ადმინისტრაციის, მუნიციპალიტეტის მერიის და საკრებულოს მხარდაჭერით.

ღონისძიებებს ესწრებოდნენ მუნიციპალიტეტის მერი **გიორგი ნემსაძე**, საკრებულოს თავმჯდომარე **ჭაბუკი ჭაბუკიანი**, მერის მოადგილე **რევაზ ახვლედიანი**, საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე **გიორგი გუგავა**, საკრებულოს ფრაქცია „უმრავლესობის“ ლიდერი **ონისე ჩაკვეტაძე**.



***

მე არ ვიცი, არის თუ არა ჩვენს შორის ღვთისმშობლის მადლი და სიყვარული, მაგრამ, ერთი წუთით პატარა რელიგიური სასწაული წარმოვიდგინოთ: ღვთისმშობელმა თავისი ქვეყნის „ხილვა“ მოისურვოს. რას ნახავს?

ნახავს მონობის სენით შეპყრობილ კერპთაყვანისმცემლებს, რომელსაც თავისუფლება ბატონის გამოცვლა ჰგონიათ; ნახავს მდიდარ ფარისევლებს, რომლებიც საჩვენებელ და გამოყენებით ქველმოქმედებას ეწევიან. იმ დროს, როდესაც მათ გვერდით ნამდვილი ადამიანები ნამდვილი სიკვდილით, ნამდვილად იხოცებიან; ნახავს სიხარბისგან სახედაკარგულ კაცუნებს, რომლებისთვისაც სიხარბე უკვე იმ ზომის იდეალისტური თვითმიზანია-რომ შეეძლოთ ორ-ორ საფლავში ჩაწვებიან; ნახავს ცრუ ადამიანებს, რომლებიც რელიგიურობანას თამაშობენ და რაკი რწმენის ორგანო ატროფირებული აქვთ, რწმენაც აღებ-მიცემობის საგნად უქცევიათ, როგორც ფართალი, როგორც პოლიტიკა, როგორც სპილენძი, როგორც სინდისი, როგორც მოყვასის ბედი.

წმინდა ღვთისმშობელი ასეთ ქვეყანაზე, გარწმუნებთ, უარს იტყვის. ლეგენდაც დამთავრდება და სიმბოლოც წაიშლება.

ჯემალ ქარჩხაძე,
მწერალი

გაზეთი აიწყო, დაჯაბადონდა და დაიბეჭდა
ი/მ ბაჟური ჯილაძის მიერ.
მის: ქ. ქუთაისი, აკ. წერეთლის ქ. №186

სარედაქციო კოლეგია:
თამარ დავითულიანი, მზევინარ ძნელაძე,
ეკა ბენდელიანი, ირმა მუშკუდიანი

რედაქციის მისამართი:
ცაგერი, რუსთაველის ქ. №61
ტელ: 551 50 81 50; 598 95 91 11